RONDELI FOUNDATION
GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ნატოს ბირთვული შეკავების, შენარჩუნებისა და გაძლიერების მნიშვნელობა: ისტორიული მიმოხილვა

მეგი ბენია

179

ექსპერტის აზრი

RONDELI FOUNDATION
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

მეგი ბენია

ნატოს ბირთვული შეკავების, შენარჩუნებისა და გაძლიერების მნიშვნელობა: ისტორიული მიმოხილვა

179

2022

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2022 წელი

ISSN 1512-4835
ISBN

„მსოფლიო ბირთვული იარაღის გარეშე შეიძლება იყოს ოცნება, მაგრამ შეუძლებელია მტკიცე თავდაცვა დავაფუძნოთ ოცნებებს. თუ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის იმაზე მეტი ნდობა არ იქნება, ვიდრე ეღეს არის, მსოფლიო ბირთვული იარაღის გარეშე ნაკლებად სტაბილური და მეტად სახიფათო გახდება ყველა ჩვენგანისთვის“.

მარგარეტ ტეტჩერი, 1987

შესავალი

ბირთვული შეკავება ნატოს თავდაცვისა და შეკავების პოლიტიკის ქვაკუთხედია. მიუხედავად იმისა, რომ ალიანსი შეიარაღებაზე კონტროლის მოლაპარაკებებში არ წარმოადგენს ფორმალურ მხარეს, ის დიდი ხანია შეიარაღებაზე კონტროლის, განიარაღებისა და გაუვრცელებლობის პოლიტიკის ერთგულია. ალიანსის შიგნით მუდმივად იმართება კონსულტაციები სხვადასხვა ფორმატში (ჩრდილოატლანტიკური საბჭო, ბირთვული დაგეგმარების ჯგუფი და თავდაცვის დაგეგმარების კომიტეტი). ამ კონსულტაციების მთავარი მიზანია ყურადღება გაამახვილოს იმ გამოწვევებზე, რომლებიც დღეს შეიარაღებაზე კონტროლის არქიტექტურას უკავშირდება. ამჟამად ნატო წარმატებით ინარჩუნებს ბალანსს ბირთვულ შეკავებასა და განიარაღების მისწრაფებას შორის, თუმცა 30-წვერიანი ორგანიზაციისთვის ეს საკმაოდ რთული ამოცანაა.

წლების განმავლობაში ნატო განიცდიდა სერიოზულ კრიზისს ბირთვული იდენტობის თვალსაზრისით. მოკავშირეთაგან ზოგი ცდილობდა, გაეზარდა ალიანსის შეიარაღებაზე კონტროლის პროფილი, ზოგი კი მუდმივად უპირისპირდებოდა ამ მიმართულებით ცვლილებებს. ისიც აღსანიშნავია, რომ ნატოს პოზიცია ხშირად იცვლებოდა საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებების გავლენით.

მიუხედავად ბირთვულ შეკავებასთან დაკავშირებით ნატოს შიგნით არსებული წინააღმდეგობრივი მოსაზრებებისა, ის ჩამოყალიბდა ბირთვულ ალიანსად, რომელიც ეფექტიანად უზრუნველყოფს მშვიდობასა და უსაფრთხოებას ევროატლანტიკურ სივრცეში.

დღეს ევროპული უსაფრთხოება, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ყველაზე დიდი გამოწვევის წინაშე დგას: ნატოს საზღვართან, ერთი სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ მეორე სახელმწიფო აწარმოებს არაპროვოცირებულ, დაუსაბუთებელ ომს და სამყაროს ბირთვული იარაღის გამოყენებით ემუქრება.

ამ უპრეცედენტო ვითარებაში მნიშვნელოვანია, რომ ნატომ შეინარჩუნოს და უფრო გააძლიეროს ბირთვული შეკავების პოლიტიკა, რათა ხანგრძლივად უზრუნველყოს მშვიდობა და სტაბილურობა.

წინამდებარე სტატიაში მიმოვიხილავთ ნატოს, როგორც ბირთვული ალიანსის, ჩამოყალიბების ისტორიასა და მისი ბირთვული შეკავებისა და კონვენციური თავდაცვის შესაძლებლობების შენარჩუნება-გაძლიერების მნიშვნელობას.

ნატოს ჩამოყალიბება ბირთვულ ალიანსად

1960-იანი წლები გადამწყვეტი პერიოდი იყო შეიარაღებაზე კონტროლისა და მისი გაუვრცელებლობის თვალსაზრისით. კუბის სარაკეტო კრიზისმა, კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების (ICBMs) მიმართულებით საბჭოთა კავშირის ტექნოლოგიურმა პროგრესმა და 1964 წელს ჩინეთის მიერ ბირთვული იარაღის გამოცდამ სერიოზული კითხვები გააჩინა პრეზიდენტ ეიზენჰაუერის „მასიური პასუხის“ (Massive Retaliation) დოქტრინის მიმართ. შესაბამისად, კენედის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, შეექმნა შეიარაღებაზე კონტროლის არქიტექტურა. ამ პოლიტიკის ფარგლებში დაწყებული მოლაპარაკებების შედეგად, 1963 წელს ხელი მოეწერა „ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ხელშეკრულებას“ (Limited Test Ban Treaty), ხოლო შემდგომმა მოლაპარაკებებმა მიგვიყვანა „ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებამდე“ (Nuclear Non-proliferation Treaty (NPT)), რომელიც ხელმომწერებისთვის 1968 წელს გაიხსნა (Potter, 2018).

1960-იან წლებამდე შეიარაღებაზე კონტროლი და განიარაღება არ ყოფილა ალიანსის პრიორიტეტი. თუმცა, გლობალური უსაფრთხოების თვალსაზრისით შეცვლილი გარემო ნატოს ახალ რეალობასთან ადაპტირებისკენ უბიძგებდა. ამ მიმართულებით, 1966-1968 წლებში ალიანსის შიგნით პირველი მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა (Wenger, 2004). აღნიშნულ ტრანსფორმაციას საფუძვლად დაედო „ალიანსის სამომავლო ამოცანების“ (Future Tasks of the Alliance) ანგარიში (ე.წ. „ჰარმელის ანგარიში“, მოამზადა ბელგიის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა პიერ ჰარმელმა), რომელმაც განსაზღვრა ალიანსის მიზნები. ამ დროიდან ნატოს სტრატეგია მიზნად ისახავდა თავდაცვის უზრუნველყოფასა და აგრესიის პრევენციას პოლიტიკური შეკავებისა (détente) და ადეკვატური სამხედრო არსენალის ერთობლიობით. დოკუმენტის თანახმად, „სამხედრო უსაფრთხოება და დაძაბულობის შემცირება არა ურთიერთგამომრიცხავი, არამედ ურთიერთთავსებადია“ (North Atlantic Council 1967):

„ცხადია, რომ ალიანსმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს შეიარაღებაზე კონტროლის საკითხებს. შეიარაღებაზე კონტროლთან დაკავშირებული პრობლემები და უსაფრთხოების შესაძლო ზომები უნდა განიხილებოდეს ისეთივე სიფრთხილითა და ყურადღებით, როგორსაც ნატო სამხედრო დაგეგმარების, სტრატეგიისა და ბირთვული საკითხების მიმართ იჩენს. საბჭო ხშირად განიხილავდა შეიარაღებაზე კონტროლის საკითხებს. განიარაღების ექსპერტები კი რეგულარული შეხვედრებისას ტექნიკურ დონზე შეისწავლიდნენ ამ საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალისხმევა ძალიან ღირებულია, იგი არ არის ადეკვატური. ალიანსმა უნდა ჩამოაყალიბოს რეგულარული და მუდმივმოქმედი მექანიზმი ამ სფეროში შემოთავაზებების ყველა ასპექტის შესწავლისა და შეფასებისთვის. ამის მიღწევა შესაძლებელია საბჭოს მანდატის ქვეშ, ცალკე, მუდმივი კომიტეტის ჩამოყალიბებით, რომელსაც დაერქმევა „შეიარაღებაზე კონტროლისა და განიარაღების კომიტეტი“ (North Atlantic Council 1967).

ამავე დოკუმენტში განიხილებოდა ზემოხსენებული კომიტეტის შექმნის საკითხიც. მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტი არ დაარსებულა, დოკუმენტი

მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ალიანსის შიგნით შეიარაღებაზე კონტროლის პროცესის დასაწყებად.

1965 წელს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში ბირთვულ იარაღთან დაკავშირებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. პრეზიდენტმა ჯონსონმა გადაწყვიტა, რომ ბირთვული იარაღის გაზიარება მოკავშირეებისთვის (რაც მიღებული პრაქტიკა იყო ეიზენჰაუერის პრეზიდენტობიდან მოყოლებული) და შეიარაღებაზე კონტროლისა და გაუვრცელებლობის შესახებ საბჭოთა კავშირთან მიმდინარე მოლაპარაკებები ერთმანეთთან შეუთავსებელი იყო. შედეგად, ჯონსონმა მიიჩნია, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა „ბირთვული თავდაცვის ურთიერთობათა კომიტეტისა“ და „ბირთვული დაგეგმარების ჯგუფის“ შექმნა. ამ ახალმა ინსტიტუტებმა საფუძველი დაუდო ბირთვული იარაღის შესაძლო გამოყენებასთან დაკავშირებული კონსულტაციებისა და დაგეგმვის პროცესს და გააუქმა მიწოდების სისტემების ფიზიკური კონტროლი, რომელსაც ცვლილებების მიღებამდე ახორციელებდა ალიანსი. მიუხედავად იმისა, რომ ამ გადაწყვეტილებას მოკავშირეები ენთუზიაზმით არ შეხვედრიან, მათ სხვა ალტერნატივა არ ჰქონდათ და ცვლილებებს დაეთანხმნენ (Haftendorn 1996) (Buteux, 1983).

1977 წელს ალიანსმა შექმნა „მაღალი დონის ჯგუფი“ (High Level Group) SALT* I და SALT II მოლაპარაკებების, ალიანსის საშუალო და მცირე რადიუსის ბირთვული რაკეტების (INF) მოდერნიზაციის განხილვისა და საბჭოთა კავშირის მიერ ახალი სარაკეტო სისტემების განთავსებასთან დაკავშირებით ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბების მიზნით (NATO, Arms control, disarmament and non-proliferation in NATO 2022).

შედეგად, 1979 წლის 12 დეკემბერს ნატომ შეიმუშავა დუალური პოლიტიკა (Dual-Track policy), რომლის თანახმადაც, „ნატო დაიწყებდა ბირთვული იარაღის არსენალის მოდერნიზებას და განათავსებდა ამერიკის ფრთოსან რაკეტებსა და Pershing II ტიპის რაკეტებს ევროპაში, მაგრამ ამასთანავე აქტიურად ეცდებოდა მიეღწია შეიარაღებაზე კონტროლის შესახებ შეთანხმებისთვის საბჭოთა კავშირთან, რაც წარმატების შემთხვევაში ნატოს დღის წესრიგიდან მოხსნიდა რაკეტების განლაგების საკითხს“. (SHAPE თ. გ.)

რეიგანის ადმინისტრაციის დროს შეიარაღებაზე კონტროლის მოლაპარაკებებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ხანგრძლივი პროცესის შედეგად ჩამოყალიბდა შეიარაღებაზე კონტროლის ახალი არქიტექტურა. 1987 წლის დეკემბერს გაფორმდა მცირე და საშუალო რადიუსის ბირთვული შეიარაღების (INF) შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა შეიარაღებაზე კონტროლის ისტორიაში. ხელშეკრულება მიზნად ისახავდა ბირთვული იარაღის მთელი კლასის განადგურებას. ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ კმაყოფილება გამოთქვა ამასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ დოკუმენტი თავსებადია ალიანსის უსაფრთხოებასთან (NATO, NATO and the INF Treaty, 2019).

ცივი ომის დასრულების შემდეგ ალიანსი ახალი რეალობის წინაშე დადგა. მას თავიდან უნდა განესაზღვრა თავისი როლი და გადაეწყვიტა, მიემართა დამატებითი ძალისხმევა კონვენციური და სტრატეგიული იარაღის შემცირებისკენ

* სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მოლაპარაკებები

და დარჩენილიყო შეიარაღებაზე კონტროლის ვალდებულებების ერთგული თუ შეენარჩუნებინა ბირთვული არსენალი. პირველად ეს საკითხები 1989 წლის ნატოს სამიტზე განიხილეს. მაშინ ალიანსმა მიიღო „შეიარაღებაზე კონტროლისა და განიარაღების ყოვლისმომცველი კონცეფცია“ (Comprehensive Concept for Arms Control and Disarmament) (NATO, The Alliance's comprehensive concept of arms control and disarmament 1989), რომელიც მიზნად ისახავდა შეიარაღებაზე კონტროლის განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ კონცეფცია ხაზს უსვამდა ბირთვული იარაღის მნიშვნელობას ალიანსის თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის, ის მაინც მკაფიო უპირატესობას ანიჭებდა სტრატეგიული შეიარაღების შემცირებას:

„ალიანსის შეიარაღებაზე კონტროლის პოლიტიკის ძირითადი მიზანია უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გაღრმავება შეიარაღების ყველაზე დაბალი დონის შენარჩუნებით, რომელიც თავსებადი იქნება შეკავების სტრატეგიის მოთხოვნებთან. მოკავშირეები გამოხატავენ მზადყოფნას მიაღწიონ მზარდ პროგრესს შეიარაღებაზე კონტროლის ამოცანების მიღწევაში. ყოვლისმომცველი კონცეფციის შემდგომი განვითარება განხორციელდება ინტეგრირებული მიდგომის შემუშავებით, რომელიც მოიცავს ურთიერთთავსებად თავდაცვის პოლიტიკას და შეიარაღებაზე კონტროლის პოლიტიკას. ამ მიმართულებით მუშაობა ასევე მოითხოვს შეიარაღებაზე კონტროლის ამოცანებსა და თავდაცვის მოთხოვნებს შორის არსებული ურთიერთკავშირისა და ალიანსის უსაფრთხოების გაძლიერების საკითხში შეიარაღებაზე კონტროლის სხვადასხვა მექანიზმის ინდივიდუალური და ერთობლივი მუშაობის თავისებურებების სრულად გათვალისწინებას. შეიარაღებაზე კონტროლის სახელმძღვანელო პრინციპები და ძირითადი ამოცანები რჩება უცვლელი“ (NATO, The Alliance's comprehensive concept of arms control and disarmament, 1989).

ეს პოზიცია განმეორებით დადასტურდა ნატოს 1991 და 1999 წლების სტრატეგიულ კონცეფციებში, სადაც ნათქვამია, რომ:

„ალიანსი შეინარჩუნებს ბირთვული შეიარაღების ადეკვატურ რაოდენობას ევროპაში. ამ შეიარაღებას უნდა ჰქონდეს საჭირო მახასიათებლები, შესაბამისი მოქნილობა და გადარჩენის უნარი, რათა აღიქმებოდეს, როგორც ალიანსის ომის პრევენციის სტრატეგიის სანდო და ეფექტიანი ელემენტი. შეიარაღება შენარჩუნდება მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად საჭირო მინიმალურ, დამაკმაყოფილებელ დონზე“ (NATO, The Alliance's New Strategic Concept, 1991).

XXI საუკუნეშიც ურთიერთდაპირისპირებული პოზიციების გამო ალიანსი კვლავ დილემის წინაშე აღმოჩნდა. ზოგიერთი წევრი ქვეყანა მიიჩნევდა, რომ ნატოს თავისი თავი მთლიანად უნდა მიეძღვნა შეიარაღებაზე კონტროლისა და გაუვრცელებლობისთვის. 2010 წლის აპრილში აშშ-სა და რუსეთს შორის ახალი START ხელშეკრულების გაფორმებამ, გაეროს ბირთვული უსაფრთხოების პირველმა სამიტმა 2010 წლის აპრილსა და NPT მიმოხილვის კონფერენციამ 2010 წლის მაისში დამატებითი ზეწოლა მოახდინა ალიანსზე შეიარაღებაზე კონტროლის პოლიტიკის გასაძლიერებლად. თუმცა, ნატოს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის მიერ შერჩეულმა ექსპერტთა ჯგუფმა, რომელიც ახალი სტრატეგიული

კონცეფციისთვის რეკომენდაციებს ამუშავებდა, 2010 წლის 17 მაისს გამოაქვეყნა ანგარიში, სადაც ნათქვამი იყო, რომ (NATO, NATO 2020: Assured Security; Dynamic Engagement, 2010):

1. ვიდრე არსებობს ბირთვული იარაღი, ნატომ უნდა შეინარჩუნოს უსაფრთხო და საიმედო ბირთვული არსენალი იმ მინიმალურ დონზე, რომელიც შეესატყვისება უსაფრთხოების სფეროში არსებულ ვითარებას და ფართოდ გაიზიაროს პასუხისმგებლობა მის განთავსებასა და ოპერაციულ მხარდაჭერაზე. ამ პოლიტიკაში ნებისმიერი ცვლილება, მათ შორის, ევროპაში, ნატოს ბირთვული იარაღის განთავსების გეოგრაფიული გადანაწილება, სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მსგავსად, მთელმა ალიანსმა უნდა მიიღოს.
2. ნატომ უნდა მიიწვიოს რუსეთი ბირთვული ხედვების, კონცეფციების, დოქტრინების და გამჭვირვალობის შესახებ მიმდინარე განხილვებზე და უნდა ჩამოაყალიბოს სპეციალური საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ბირთვულ საკითხებზე ალიანსში მიმდინარე დიალოგს.

შედეგად, 2010 წლის დეკემბერში ნატომ მიიღო ახალი სტრატეგიული კონცეფცია. დოკუმენტის თანახმად, ალიანსი ინარჩუნებს და აძლიერებს ბირთვულ არსენალს, როგორც თავდაცვისა და შეკავების პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს. რაც მთავარია, პირველად ისტორიაში, დოკუმენტში გაცხადებულია, რომ ნატო არის ბირთვული ალიანსი – ეს არის ტერმინი, რომელიც მანამდე არასოდეს გამოუყენებიათ, მათ შორის, ცივი ომის პერიოდის ყველაზე მწვავე ფაზაშიც კი:

„შეკავება, რომელიც ეფუძნება ბირთვული და კონვენციური შესაძლებლობების ადეკვატურ ნაზავს, რჩება ჩვენი სტრატეგიის ძირითად ელემენტად. იმ გარემოებების ალბათობა, რომლებიც მოითხოვს ბირთვული იარაღის გამოყენებას, უკიდურესად დაბალია. ვიდრე არსებობს ბირთვული იარაღი, ნატო დარჩება ბირთვულ ალიანსად“. (NATO, Strategic Concept 2010, 2010)

2012 წლის ჩიკაგოს სამიტზე ალიანსმა მიიღო შეკავებისა და თავდაცვის მდგომარეობის მიმოხილვა (Deterrence and Defense Posture Review (DDPR)) (NATO, Deterrence and Defence Posture Review, 2012), რომელმაც საბოლოოდ განსაზღვრა ბირთვული შეკავება და შეიარაღებაზე კონტროლი ნატოს უსაფრთხოების ქვაკუთხედად. DDPR-ზე დაყრდნობით, ჩამოყალიბდა „შეიარაღებაზე კონტროლის, განიარაღებისა და გაუვრცელებლობის სპეციალური საკონსულტაციო კომიტეტი“ (Special Advisory and Consultative Arms Control, Disarmament and Non-Proliferation Committee (ADNC)), რომელსაც ნდობის განმტკიცებისა და გამჭვირვალობის საკითხებზე რუსეთთან დიალოგის მომზადება დაევალა (NATO, Arms control, disarmament and non-proliferation in NATO, 2022).

ნატოს ბირთვული შეკავების გაძლიერება

1984 წელს რონალდ რეიგანმა თქვა: „მჯერა, რომ არ შეიძლება ახალ თაობას დავუტოვოთ ისეთი მსოფლიო, რომელიც ამ იარაღის მუდმივი შიშით ცხოვრობს და იცის, რომ რომელიმე გიჟს შეუძლია თითი დააჭიროს ღილაკს“. შესაბამისად, შეიარაღებაზე კონტროლი და მისი გაუვრცელებლობა საერთაშორისო

საზოგადოების მნიშვნელოვან ამოცანად რჩება, ვინაიდან ეს არის ერთადერთი გზა მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. თუმცა ამ პროცესში მნიშვნელოვანია, ყველა მონაწილე მხარე კეთილსინდისიერად ერთგულობდეს ბირთვული იარაღის სრული განადგურების იდეას. დღევანდელი გადმოსახედიდან თუ შევაფასებთ, ისეთი ავტორიტარული მტრული ძალის არსებობის გამო, როგორიც რუსეთია, ბირთვული იარაღისგან თავისუფალი მსოფლიო კიდევ მრავალი თაობისთვის დარჩება ოცნებად.

წლების განმავლობაში რუსეთი ძირს უთხრიდა შეიარაღებაზე კონტროლის არქიტექტურის ძირითად პრინციპებს. მან დაარღვია INF ხელშეკრულების პირობები, შეაჩერა ევროპაში კონვენციური იარაღის შესახებ შეთანხმება (CFE), არ ასრულებდა ვენის დოკუმენტით ნაკისრ ვალდებულებებს, არაერთგზის დაარღვია ღია ცის შეთანხმება (რითაც გამოიწვია აშშ-ის გასვლა ხელშეკრულებიდან, ხოლო შემდეგ კი თავად გამოაცხადა მისი დატოვების შესახებ) და მიზანმიმართულად არ ასრულებდა ბუდაპეშტის მემორანდუმით ნაკისრ ვალდებულებებს.

ნატო ცდილობდა ამ სახიფათო რეალობასთან გამკლავებას და მუდმივად მოუწოდებდა რუსეთს შეესრულებინა შეიარაღებაზე კონტროლის, გაუვრცელებლობისა და განიარაღების მექანიზმებით ნაკისრი ვალდებულებები, მაგრამ რუსეთის პოზიცია უცვლელი დარჩა. ასეთ ვითარებაში ნატოსთვის რთული აღმოჩნდა ტრადიციული ბალანსის დაცვა ბირთვულ შეკავებასა და განიარაღების მისწრაფებას შორის.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ნატოს კატეგორიული პოზიცია ბირთვული იარაღის სრული აკრძალვის ხელშეკრულებასთან (Treaty on the Prohibition of Nuclear Weapons (TPNW)) დაკავშირებით, სრულად გამართლებულია ამ არაპროგნოზირებად ვითარებაში, ვინაიდან „ის არ ასახავს მზარდი გამოწვევების მქონე საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოს და წინააღმდეგობაში მოდის გაუვრცელებლობისა და განიარაღების არსებულ არქიტექტურასთან“ (NATO, North Atlantic Council Statement as the Treaty on the Prohibition of Nuclear Weapons Enters Into Force, 2020).

გარდა ამისა, 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ რუსეთს არ სურს მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა ევროპაში თანამშრომლობითი უსაფრთხოების პრინციპის შესაბამისად. ყირიმის ანექსიამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ნატოს თავდაცვისა და შეკავების პოლიტიკაში. 2016 წლის ვარშავის სამიტზე, ალიანსმა მიიღო კომუნიკე, რომელიც ხაზს უსვამდა მოკავშირეთა ერთობას ბირთვული შეკავების მნიშვნელობის შესახებ.

ევროატლანტიკურ სივრცეში უსაფრთხოების თვალსაზრისით შექმნილი უკიდურესად მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, როდესაც რუსეთი არაპროვოცირებულ და დაუსაბუთებელ ომს აწარმოებს უკრაინის წინააღმდეგ, ნატომ უნდა დააფიქსიროს თავისი ურყევი და მკაცრი პოზიცია ბირთვული არსენალის შენარჩუნებასა და გაძლიერებასთან დაკავშირებით.

მოსალოდნელია, რომ ადრინდელის მსგავსად, ნატოს ზოგიერთი წევრი ქვეყანა მოისურვებს ბირთვულ და კონვენციურ შეიარაღებაზე უარის თქმას შეიარაღებაზე კონტროლისა და განიარაღების სასარგებლოდ და მზად იქნება ამ კუთხით დამატებით დათმობებზე წავიდეს რუსეთთან.

ნატოელმა მოკავშირეებმა სრულად უნდა გაიაზრონ ასეთ დათმობებთან დაკავშირებული საფრთხეები და შესაბამისად იმოქმედონ. მაშინ, როდესაც ყურადღების კონცენტრირება ხდება ალიანსის, როგორც შეიარაღებაზე, კონტროლის საკითხების განსახილველი ფორუმის როლის გაძლიერებაზე, ნატომ უნდა შეძლოს და იმ ახალ სტრატეგიულ კონცეფციაში, რომელსაც 2022 წლის ივნისში მიიღებენ მადრიდის სამიტზე, ადეკვატური ჩანაწერი გააკეთოს ბირთვული შეკავების გაძლიერებასა და კონვენციური თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერების თაობაზე,

დასკვნა

შეიარაღებაზე კონტროლის არქიტექტურა საერთაშორისო საზოგადოების მნიშვნელოვანი მონაპოვარია, რომელიც თავის თავში გულისხმობს გლობალური მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფას. წლების განმავლობაში ნატო ჩამოყალიბდა, როგორც უნიკალური პლატფორმა შეიარაღებაზე კონტროლის, განიარაღებისა და გაუვრცელებლობის შესახებ დიალოგისთვის. ათეულობით მოკავშირე მუდმივად ცვლის თავის მოსაზრებებს ბირთვულ საკითხებთან დაკავშირებულ გამოწვევებზე და ფასილიტაციას უწევს კონსულტაციებსა და მოლაპარაკებებს შეიარაღებაზე კონტროლის თაობაზე. ბირთვული იარაღის სრული განადგურება უნდა დარჩეს საერთაშორისო საზოგადოების მთავარ ამოცანად. თუმცა, ამ მისიის შესრულება ბევრ ვალდებულებას აკისრებს ყველა მონაწილე სახელმწიფოს.

რუსეთის ძალადობრივი და მტრული ქმედებების გამო შექმნილ უსაფრთხოების არაპროგნოზირებად გარემოში ნატოს პირდაპირი საფრთხე ემუქრება. ასეთი ვითარება მკაცრ და მტკიცე პასუხს მოითხოვს ალიანსისგან. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ნატო სრული განიარაღებისა და გაუვრცელებლობის ერთგული დარჩენილიყო, ცვალებადი პირობები აიძულებდა მას ემოქმედა ეგზისტენციალური მოთხოვნილებების შესაბამისად. შედეგად, ის ჩამოყალიბდა როგორც ბირთვული ალიანსი, რითაც უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა საერთაშორისო ურთიერთობებისა და გლობალური უსაფრთხოების ისტორიაში.

უსაფრთხოების საკითხებში არსებული გამოწვევები კიდევ ერთხელ ავალდებულებს ალიანსს, რომ ადაპტაციის მისეული ტრადიციის ერთგული დარჩეს და ადეკვატური ზომები მიიღოს ბირთვული შეკავებისა და კონვენციური თავდაცვის შესაძლებლობების გასაძლიერებლად.

ბიბლიოგრაფია

- Brands, Hal. 2006. “Progress Unseen: U.S. Arms Control Policy and the Origins of Détente, 1963–1968.” *Diplomatic History* 253-285.
- Bunn, George. 1994. “The NPT and Options for its Extension in 1995.” *The Nonproliferation Review* 52-60.
- Buteux, Paul. 1983. *The politics of nuclear consultation in NATO, 1965-1980.* Cambridge: Cambridge University Press.
- Committee, NATO Military. 1968. “Military Doctrine MC 14/3.” *NATO.* January 16. https://www.nato.int/docu/stratdoc/eng/a680116a.pdf.
- Haftendorn, Helga. 1996. *NATO and the Nuclear Revolution: A Crisis of Credibility 1966–67.* Clarendon Press.
- History. 1981. “The United States and U.S.S.R. open talks to reduce intermediate-range nuclear forces.” *History.* November 31. https://www.history.com/this-day-in-history/the-united-states-and-u-s-s-r-open-talks-to-reduce-intermediate-range-nuclear-forces.
- Meeting of Ambassadors. 1969. “Private Record of a Meeting of Ambassadors on Thursday, 23rd January, 1969.” *NATO.* January 23. https://archives.nato.int/private-record-of-a-meeting-of-ambassadors-on-thursday-23rd-january-1969-at-10-15-a-m.
- NATO Archives. 1967. “Statement by the German Permanent Representative at the Council Meeting on 20 September 1967.” *NATO.* September 20. https://archives.nato.int/statement-by-the-german-permanent-representative-at-the-council-meeting-on-20-september-1967.
- NATO. 2022. “Arms control, disarmament and non-proliferation in NATO.” *NATO.* January 5. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_48895.htm#:~:text=NATO%20has%20a%20long%2Dstanding,range%20of%20its%20missions%20fulfilled.
- —. 1986. “Brussels Declaration On Conventional Arms Control.” *NATO.* December 11. https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_23337.htm?selectedLocale=en.
- —. 2012. “Deterrence and Defence Posture Review.” *NATO.* May 20. https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_87597.htm.
- —. 2016. “Joint declaration .” July 8. https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133163.htm.
- —. 2010. “NATO 2020: Assured Security; Dynamic Engagement.” *NATO.* May 17. https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_63654.htm.
- —. 2019. “NATO and the INF Treaty.” *NATO.* August 2. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_166100.htm#:~:text=NATO’s%20position%20on%20key%20events,force%20on%201%20June%201988.
- —. 2020. “North Atlantic Council Statement as the Treaty on the Prohibition of Nuclear Weapons Enters Into Force.” *NATO.* December 15. https://www.nato.int/cps/en/natohq/news_180087.htm#:~:text=As%20the%20Treaty%20on%20the%20Prohibition%20of%20Nuclear%20Weapons%2C%20or,non%2Dproliferation%20and%20disarmament%20architecture.
- NATO. 2021. *Sixth progress report.* NATO. https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2021/6/pdf/210603-progress-report-nr6-EU-NATO-eng.pdf.
- —. 1987. “Statement on the Ministerial Meeting of the North Atlantic Council.” June 11. https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_23401.htm?selectedLocale=en.
- —. 2010. “Strategic Concept 2010.” *NATO.* November 19. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_82705.htm.

- —. 1989. “The Alliance’s comprehensive concept of arms control and disarmament.” *NATO.* May 29. https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_23553.htm.
- —. 1991. “The Alliance’s New Strategic Concept.” *NATO.* November 7-8. https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_23847.htm#:~:text=The%20Alliance’s%20active%20pursuit%20of,European%20states%3B%20to%20help%20manage.
- North Atlantic Council. 1967. “The Future Tasks of the Alliance. Report of the Council – ‘The Harmel Report”.” *NATO.* December 13-14. https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_26700.htm.
- NPT Document. 1966. “Record of a Private Meeting of the Council held on Wednesday, 12th January [1966]” (PR(66)01).” *NATO.* January 12. https://archives.nato.int/record-of-a-private-meeting-of-the-council-held-on-wednesday-12th-january-at-10-15-a-m.
- SHAPE. n.d. “1979-1989: “Dual Track” Decade - New Weapons, New Talks.” *SHAPE NATO.* https://shape.nato.int/page214610458.
- Thatcher, Margaret. 1993. *The Downing Street Years.* New York: Harper Collins.
- U.S. National Security Council. 1969. “Memorandum From the President’s Assistant for National Security Affairs (Kissinger) to President Nixon.” *Office of the Historian.* June 24. https://history.state.gov/historicaldocuments/frus1969-76v32/d21.
- U.S. State Department. 1969. “Memorandum From President Nixon to Acting Secretary of State Richardson.” *Office of the Historian.* May 1. https://history.state.gov/historicaldocuments/frus1969-76v32/d8.
- Wenger, Andreas. 2004. “Crisis and Opportunity: NATO’s Transformation and the Multilateralization of Détente, 1966–1968.” *Journal of Cold War Studies* 22-74.